№8

სექტემბერი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში ხმათა უმრავლესობა დავით შერაზადიშვილმა მიიღო



ძვირფასო ბოლნისელებო, მადლობა ნდობისთვის, მხარდაჭერისა და თანადგომისთვის- დავით შერაზადიშვილი

,,ძვირფასო ბოლნისელებო, მადლობა ნდობისთვის, მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. ჩვენ ყველამ ერთად გავიმარჯვეთ. ბოლნისი თითოეული ჩვენგანის სახლია და კვლავ, ერთად განვაგრძობთ მისი უკეთესი მომავლის შექმნას.

ჩემთვის დიდ პატივთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაა განმეორებით გამოცხადებული თქვენი უპრეცედენტო მხარდაჭერა. ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებ იმისათვის, რომ თქვენი ეს დიდი ნდობა კვლავ გავამართლო!"- აცხადებს დავით შერაზადიშვილი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი სტუდენტებს 2021-2022 სასწავლო წელსაც დააფინანსებს

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების დაფინანსების მიზნით, საბუთების მიღებას იწყებს.

საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში. ფულადი დახმარების პროგრამაში, კატეგორიების მიხედვით, სტუდენტი ჩაერთვება დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემდგომ.

მუნიციპალიტეტი სტუდენტურ სტიპენდიას გასცემს შემდეგ კატეგორიებზე:

1.ობოლი სტუდენტები და სტუდენტები მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ცნობა სასწავლებლიდან;
3. გარდაცვალების მოწმობა;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი;
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

2. სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან , რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დევნილის მოწმობა;
3. ცნობა სასწავლებლიდან;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი.

3. სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000 ქულამდე) ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სოციალურად დაუცველის მოწმობა (0 დან 100 000 ქულამდე);
3. ცნობა სასწავლებლიდან;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი.
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

4. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი), რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლები (ყველა დედმამიშვილის);
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

5.სტუდენტები ოჯახებიდან, რომელშიც ორი ან მეტი სტუდენტია და სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

6.წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;
6. ამონაწერი ქულების შესახებ (81-დან 90-ის ჩათვლით 50 ლარი);

7. წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;
6. ამონაწერი ქულების შესახებ (91-დან 100-ის ჩათვლით 100 ლარი).

7. შშმ. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;
6. შშმ სტატუსი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ სასწავლებლიდან ცნობა გაცემული უნდა იყოს სწავლის დაწყების შემდგომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოდგენილი საბუთები არ განიხილება.

,,აბულმუგის''აბანომ ადგილმონაცვლეობა განიცადა

ბოლნისი-დმანისის ტურისტულ რუკაზე მალე კიდევ ერთი ლოკაცია გაჩნდება. საქართველოში პირველად, ქართველი სპეციალისტების ჩართულობით, უპრეცედენტო ღონისძიება განხორციელდა- გვიანი შუასაუკუნეების "აბულმუგის"სპარსული აბანოს დაუშლელად და დაუზიანებლად ადგილმონაცვლეობა მოხდა.მისი ახალი "ბინა" დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისი-სომხეთის ტრასის მახლობლად მდებარეობს. მდგომარეობის გამო, დასაშვებად მიიჩნია მისი გადატანა.

,,ძეგლის გადარჩენის მიზნით აუცილებელი იყო მისი უსაფრთხო ადგილზე გადატანა, რისთვისაც არაერთი კომპლექსური კვლევა ჩატარდა. შეირჩა ადგილი, რომლის ლანდშაფტი სრულად მორგებულია ძეგლზე, ვინაიდან ძეგლი საწარმოო ტერიტორიაზე მდებარეობდა, კომპანია ითვალისწინებდა ყველა კომპონენტს. ზიანი, რომ არ მიდგომოდა ძეგლს , მდებარეობდა და აქ ჩატარებული სამუშაოები, კომპანიის მხრიდან, სრულად იყო დაფინანსებული.

„რომ არა „საყდრისის კომიტეტის" ინიციატივა და დაუღალავი შრომა, ძეგლის გადატანის პროცესი წარმატებით ვერ დასრულდებოდა, ეს არის ისტორიული მოვლენა, დიდ გამოწვევას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საქართველოში ძეგლის გადატანის გამოცდილება არ არსებობდა. გვიხარია, რომ უფრო ლამაზ ძეგლს ვხედავთ, რომელიც ყველა

პროექტი"საყდრისის კომიტეტის"აქტივისტების ინიციატივით განხორციელდა,რასაც წინ დიდი შრომა უძღოდა. ძეგლზე 2018 წლიდან არაერთი არქეოლოგიურ-გაწმენდითი თუ გამაგრებითი სამუშაო ჩატარდა, თუმცა სპარსული აბანო, რომელიც შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ ნაგებობას წარმოადგენს, სახიფათო და სავალალო მდგომარეობაში რჩებოდა, მიზეზი განპირობებული იყო არა მხოლოდ ასაკით, არამედ მიწის ქანებში მიმდინარე ბუნებრივი პროცესებით. კომიტეტმა ძეგლის გადასარჩენად ახალი გზების ძიება დაიწყო. 2021 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ძეგლის უმძიმესი აფეთქების მუხტები საკმაოდ დაწეული იყო, თუმცა მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შეჩერება ვერ მოხერხდა. დავიწყეთ მსჯელობა სხვა ღონისძიებაზე, მათ შორის რადიკალურ და განსხვავებულზე, ჩვენ არ ვართ ამ მიმართულებით კომპეტენტურები, ვერ მივიღებდით გადაწყვეტილებას, საჭირო იყო სპეციალისტებისა და სხვადასხვა დარგის ექსპერტების ჩართვა, მიზანი იყო ,,აბულმუგის" სპარსული აბანოს უსაფრთხო ადგილზე გადატანა და ეს შევძელით". განაცხადა „საყდრისის კომიტეტის" წევრმა ნინო ბურჭულაძემ.

ძეგლი კომპანია „არემჯის" საწარმოო ტერიტორიაზე დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია"- აღნიშნა „არემჯის" კორპორაციულმა დირექტორმა კახა მჭედლიშვილმა.

დიდი შრომის შედეგად 2021 წლის 19 აგვისტოს 134 ტონიანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „აბულმუგის" აბანოს გადატანა წარმატებით დასრულდა. ამჟამად, ტერიტორიაზე გრძელდება, ძეგლის მიმდებარედ, ინფრასტრუქტურის მოწყობა, მალე ეს ადგილი, ვიზიტორებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის, კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება.

მაგდა დევნოზაშვილი

გოგი მეშველიანი კობა კობალაძესთან ერთად ბოლნისში ვეტერანებს შეხვდა

საქართველოს პარლამენტში ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი, გოგი მეშველიანი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორ, გენერალ-მაიორ, კობა კობალაძესთან ერთად ბოლნისში ვეტერანებს შეხვდა. შეხვედრაზე, მოისმინეს დამსწრეთა საჭიროებები და გააცნეს თუ რა შეღავათებს სთავაზობს სახელმწიფო ვეტერანებს. ხელისუფლების წარმომადგენლები და ვეტერანები შეთანხმდნენ, რომ უმოკლეს ვადებში კვლავ შეიკრიბებიან, სადაც უკვე ვეტერანების სახელმწიფო სამსახური წარმოადგენს პრეზენტაციას განხორციელებული საქმიანობისა და სამომავლოდ დაგეგმილი პროგრამების შესახებ. „ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ადამიანების ღვაწლი შეუფასებელია. პარლამენტი მთავრობასთან და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან თანამშრომლობით მუდმივად ვმუშაობთ კანონის დახვეწაზე," – განაცხადა გოგი მეშველიანმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა გაფართოვდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, იმისთვის, რომ მოსახლეობამ მარტივად და შეუფერხებლად შეძლოს ვაქცინის ჩატარება, გაიხსნა დამატებითი იმუნიზაციის კაბინეტები, მუშაობს მობილური ამცრელი ბრიგადებიც, ასევე შშმ პირთათვის არის ბინაზე ვაქცინაციაც.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში ვაქცინაზე გაფართოვდა ხელმისაწვდომობა, ამ ეტაპზე ვაქცინაციის მსურველ მოქალაქეებს აცრა გარდა ბოლნისის ცენტრალური კლინიკისა შეუძლიათ: შპს ტრიო-მედში, სოფელ ქვეშის საექიმო ამბულატორიასა და კაზრეთის პოლიკლინიკაში, ასევე ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბაზაზე შეიქმნა მობილური ამცრელი ბრიგადები, სადაც წინასწარ მობილიზებულ კონტიგენტთან ხდება ადგილზე სოფლად გასვლა და კოვიდვაქცინაცია. იმისთვის, რომ მარტივად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეძლოს მოქალაქემ მისთვის სასურველი ვაქცინით აცრა, იმუნიზაციის ცენტრებში წინასწარ შედგენილი და გაწერილი გრაფიკი მუშაობს, ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში ვაქცინაცია ექვსი დღე მიმდინარეობს, ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი აცრა ხდება სინოფარმით, სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი - ფაიზერით, შაბათ დღეს აცრა შესაძლებელია სინოვაკით. რაც შეეხება ტრიო-მედს აქ აცრის დღეებია სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი . აცრა კი ჩინური ვაქცინით და ფაიზერით არის შესაძლებელი; ქვეშის საექიმო ამბულატორიაში სინოფარმით და სინოვაკით ვაქცინაცია შესაძლებელია სამშაბათს და ხუთშაბათს; რაც შეეხება კაზრეთის პოლიკლინიკას აქ კვირაში ხუთი დღე სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს სინოფარმით, სინოვაკითა და ფაიზერით მიმდინარეობს ვაქცინაცია. დღის განმავლობაში საშუალოდ 200 მდე ადამიანი იცრება, თუმცა ეს არ არის მაღალი მაჩვენებელი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოიკლო პირველ ვაქცინაციაზე მსურველთა რაოდენობამ; ამცრელი კაბინეტების დამატება ემსახურება იმას, რომ გაუადვილდეთ მოქალაქეებს ამცრელ პუნქტებამდე გადაადგილება და მარტივად შეძლონ ვაქცინირება. გასული კვირის მონაცემებით ვაქცინირებულია ბოლნისის მოსახლეობის 14%, აქედან ორი დოზა მიღებული აქვს 6,7%, რაც საკმაოდ დაბალია," აცხადებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მაკა მამარდაშვილი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიული რეზერვის პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ეროვნული გვარდიის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა რომან ჯოხაძემ, მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებს ტერიტორიული რეზერვის პროგრამა გააცნო. პროგრამა 4 წლიანია და ის ანაზღაურებად საკონტრაქტო სამსახურს გულისხმობს.

ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებმა რეზერვის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და შეხვედრის მონაწილეებს პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. საინფორმაციო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით დასრულდა.

ტერიტორიულ რეზერვში მიიღებიან თბილისის, მცხეთის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები 18-დან 51 წლის ჩათვლით. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრებ 18-დან 22 წლის სტუდენტებსაც, რომლებსაც სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ.

ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს გაუფორმდებათ 4 წლიანი კონტრაქტი.

მათი ანაზღაურება ყოველთვიურად შეადგენს წოდებრივი სარგოს 20%-ს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ისინი ხელფასს სრულად აიღებენ.

რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება შეადგენს 2700 ლარს.

რეზერვში ჩარიცხვის მსურველებს შეუძლიათ გაიარონ ონლაინ რეგისტრაცია ვებ გვერდზე-

onlinebct.mod.gov.ge

სკოლებში პირბადის გამოყენება ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო ხდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელის განცხადებით, 4 ოქტომბრიდან, სასკოლო სივრცეში პირბადის გამოყენება ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო იქნება.

ამის შესახებ მან საკოორდინაციო საბჭოს შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„სიახლე არის ის, რომ სკოლებში ყველა მოსწავლისთვის პირბადის ტარება იქნება სავალდებულო. პირბადის ტარება აქამდეც სავალდებულოდ ითვლებოდა უფროსკლასელთათვის, თუმცა იმისთვის, რომ კლასებში იყოს უსაფრთხო გარემო, ახალი სასწავლო წლიდან, ეს რეგულაცია შეეხება როგორც უფროსს, ისე დაბალი კლასის მოსწავლეებს. ასევე სავალდებულოა ნებისმიერი ადამიანი ვინც გადაადგილდება სკოლის შიდა სივრცეში ეკეთის პირბადე", – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

სოხუმის დაცემიდან 28 წელი გავიდა

აფხაზეთის დაცემიდან ოცდამერვე წლისთავის აღსანიშნავად სოფელ რაჭისუბანში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული გმირების მემორიალი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, იროდი უგრეხელიძემ და სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელმა მევლუდ ბარლიანმა გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. დაბა კაზრეთის სამების ტაძრის წინამძღვარმა მამა ლაზარე რეხვიაშვილმა კი აფხაზეთის ომში ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაღუპულ გმირთა ოჯახებს ბოლნისის მუნიციპალიტეტისგან ერთჯერადი მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით გაეწიათ.

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. კონფლიქტი ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა. ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან ომში მონაწილეობას 281 მეომარი იღებდა, მათგან 10 გმირულად დაიღუპა, 13 კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

შეგახსენებთ, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ძალისხმევით, 1992-1993 წლებში აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაღუპული ბოლნისელი მებრძოლის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის მფლობელი სამხედროს, ლევან მემანიშვილის ნეშტის იდენტიფიცირება გახდა შესაძლებელი. დაღუპული მეომრის ოჯახის გადაწყვეტილებით, ლევან მემანიშვილის ნეშტი, მის მშობლიურ ქალაქ ბოლნისში, სამხედრო პატივით წელს დაკრძალეს.

ჩვენ გვახსოვს გმირები...

1992 წლის 14 აგვისტო ყველაზე ტრაგიკულ დღედ შევიდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. სწორედ ამ დღეს დაიწყო ძმათამკვლელი ომი, რომელიც 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა, 1993 წლის 27 სექტემბერს კი, სოხუმის დაცემით დასრულდა. ამ ავბედითი დღიდან 28 წელი გავიდა. დაკარგული ტერიტორიები, უამრავი მსხვერპლი და დევნილი. საქართველომ ღირსეული ვაუკაცები დაკარგა, ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ და დაკარგულ მეომრებს ოჯახები დღემდე ელიან. უგზო-უკვლოდ დაკარგულ გმირებს შორის, 14 ბოლნისელია. მათ შორის ერთ-ერთის, ლევან მემანიშვილის ნეშთის იდენტიფიცირება, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ძალისხმევით, გახდა შესაძლებელი. დარჩენილ 13 გმირს კი, ისევ ელის ბოლნისი და იხსენებენ ოჯახის წევრები.

თამთა ინაძე, ბოლნისელი მებრძოლის შვილი:

-ომის დასრულებიდან ათწლეულების შემდეგ, პირველად და უკანასკნელად მამაჩემი, გია ინაძე ვნახე, ამოცნობაზე. იქ კი მხოლოდ ძვლებისგან აწყობილი ჩონჩხი დამხვდა. ჩემთვის ორმაგად გმირია მამაჩემი, იმიტომ რომ, მან შეძლო დაეტოვებინა ორსული მეუღლე, ფაქტიურად სიკვდილზე მოეწერა ხელი და თავისი სიცოცხლე შეეწირა საქართველოს მთლიანობისთვის. მოგონებები არ მაქვს მასზე, რადგან დაბადებული არ ვიყავი, რომ წავიდა უკანასკნელ გზაზე, თუმცა უამრავი ადამიანია, რომელსაც შეუძლია დაუღალავად ისაუბროს მასზე. ოჯახის წევრები ხშირად იხსენებდნენ როგორ ჩამოიყვანეს დაჭრილი, დაჭრილსაც კი აფხაზეთისკენ ჰქონდა გული და გონება და, ძალიან მოკლე ხანში, უკან გაბრუნდა. გმირის შვილი ვარ და ვამაყობ ამით. არ ვუბრაზდები რომ დაგვტოვა, უფრო მნიშვნელოვანი იყო სამშობლოსთვის ბრძოლა, ვიდრე დარჩენა.

კახა მამარდაშვილი, ბოლნისელი მებრძოლის ძმა:

-სოხუმის დაცემიდან 28 წელი გავიდა. 13 თვიანი ბრძოლის შემდეგ საშინელი შედეგი მივიღეთ, დავკარგეთ ტერიტორიები და საყვარელი ადამიანები. 27 სექტემბერი ჩვენი ოჯახისთვის ორმაგად მტკივნეული დღეა. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი დაბადება და გარდაცვალება, 27 სექტემბერი მისი დაბადების და გაუჩინარების დღეც არის. ამ თარიღის შემდეგ, მასზე არაფერი ვიცით, ვისაც არ განუცდია, ვერ გადმოვცემ, თუ რა განსაცდელია ეს თითოეული უგზო-უკვლოდ დაკარგულის ოჯახისთვის. ვალერი სამშობლოს სიყვარულს შეეწირა. 1987 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 2 წლის შემდეგ მუშაობდა საბაჟოზე, საიდანაც მოხდა მისი წაყვანა აფხაზეთის ომში. დიდი ხნის განმავლობაში გვქონდა იმედი მისი გამოჩენის. ჩვენ შემთხვევაში დრო ყველაფრის მკურნალი არ არის. ერთი იმედი დაგვრჩენია, ვიპოვოთ მისი ნეშტი. ოჯახებს დაკარგულთა მოძიებაში წითელი ჯვრის კომიტეტი ეხმარება, მათი დახმარებით ბევრი დაკარგული ადამიანის ნეშტი გადმოასვენეს და ჩვენც არ ვკარგავთ უკანასკნელ იმედს.

თამუნა ფოლადიშვილი, ბოლნისელი მებრძოლის შვილი:

-ემოციურია მასზე საუბარი, რა ვთქვა არ ვიცი. ყოველი დილა მასზე ფიქრით იწყება, არ მავიწყდება ის დღეები, როცა წავიდა, თითქმის ერთი წელი მის მანქანაში ვიძინებდი, ჩაძინებული ავყავდი დედაჩემს საწოლში. მანქანაში მამიკოს სუნი იყო და ვერ ველეოდი. წასვლიდან ერთ წელში თმა გამითეთრდა. სიზმარში ვხედავდი თითქოს კიბეებზე ამოდიოდა, ძილში ვდგებოდი და გარეთ გამოვდიოდი, ძალიან რთულად გადავიტანე ეს ყველაფერი. დიდი მანქანა ჰყავდა, სათამაშოები დაჰქონდა, მოვიდოდა სახლში, ამიშვებდა ხოლმე და რომელიც მინდოდა ვიღებდი. გავბრაზდი, როცა წავიდა და ვერ ვეგუებოდი, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ დღეს მეამაყება, გმირის შვილი რომ ვარ.

პოლინა კუმსიევა, ბოლნისელი მებრძოლის მეუღლე:

-21 სექტემბერს დილის 7 საათზე გავიდა და შემდეგ მამამისისგან გავიგე, რომ აფხაზეთში წასულა. რაღა უნდა მექნა, დღედაღამ ტელევიზორს ვუყურებდი, თუ რა ხდებოდა და როგორი ვითარება იყო. ნერვიულობა აღარ ერქვა, რასაც განვიცდიდი, ყოველი დაკარგული ახალგაზრდა სიცოცხლის გამო. მერაბი 34 წლის იყო, ძალიან კეთილი, ერთგული და მშრომელი. მის გარეშე დღემდე ძალიან გვიჭირს. ყველაზე რთულად შვილებმა გადაიტანეს. პატარა 7 წლის იყო, შუაღამეს ეღვიძებოდა, ლოყებს, თმას მიმოწმებდა, სულ მამას ეძებდა, დილამდე ტიროდა. საშინელი დღეები გავიარეთ, იმედი, მისი გამოჩენის, დღემდე კიაფობს. ვერ ვსაუბრობ წარსულში მასზე, არც ვისაუბრებ. ის იყო, არის და მომავალშიც იქნება ჩვენს გვერდით.

ვინ არის ვაქცინაციის წამახალისებელი გათამაშების გამარჯვებული ბოლნისიდან

სოფელ რაჭისუბნის მკვიდრი პოეტი ნიკო რეხვიაშვილი პირველი იღბლიანი გამარჯვებულია, მან ,,აიცერი და მოიგეში" 10000 ლარი მოიგო. როგორც ბატონი ნიკო აღნიშნავს მან კოვიდ საწინააღმდეგო იმუნიზაციის პირველი დოზა 28 აგვისტოს ჩაიტარა, ლატარიის და გამარჯვების შესახებ სატელეფონო საუბრით შეიტყო. დაჯერება გაუჭირდა თუმცა, მისმა ქალიშვილმა მალევე გადაამოწმა სპეციალურ ვებ გვერდზე და აღმოჩნდა, რომ მათ ნამდვილად მოიგეს 10 000 ლარი. ბატონი ნიკო ამბობს, რომ აღნიშნული თანხით ყოფით პრობლემებს მოაგვარებს, მოსახლეობას კი ვაქცინაციისკენ მოუწოდებს!

საქართველოს ეროვნული ლატარიის" ინფორმაციით, თბილისი, გორი, ბათუმი, ლაგოდეხი, ზუგდიდი, მარტვილი -ეს ის ქალაქებია, სადაც ვაქცინირებულმა ადამიანება 5000, 1.500 და 1.000 ლარი მოიგეს.

გათამაშების შედეგების გადამოწმება შესაძლებელია ვებგვერდზე https://stop-cov.lotto.ge/, პირადი ნომრის სპეციალურ შედეგების გრაფაში შეყვანით.

ლატარია "აიცერი და მოიგეს" გათამაშება 14 სექტემბრიდან იმართება და ამ დროისთვის უკვე გათამაშებულია 180.400 ლარი, ხოლო მოგებულია 1.137 ადამიანი.

„პანდემიის თაობა“

„პანდემიის თაობა“ – თაობა, რომლებმაც ბოლო ზარი უხმაუროდ, რეგულაციების გათვალისწინებით ჩაატარა. მოსწავლეები, მიუხედავად მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა, არ შეშინდნენ, ფარ-ხმალი არ დაყარეს და ანკარა წყაროს წყალივით დაეწაფნენ ცოდნის მიღებას არა საკლასო ოთახებში, არამედ დისტანციურად, საკუთარ მონიტორებთან. მეორე წელია კოვიდ-19-მა მთლიანად შეცვალა საგანმანათლებლო სისტემა, მოსწავლე-მასწავლებლები ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, მიუხედავად ამისა, 2020-2021 სასწავლო წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მოსწავლეებმა უმაღლესი შედეგები აჩვენეს. ათასობით სტუდენტიდან ასობით გრანტოსანი გვყავს, ერთ-ერთ მათგანს დავუკავშირდით და პანდემიის პერიოდში მიმდინარე სასწავლო პროცესზე ვესაუბრეთ.

გამორჩეული, მიზანდასახული და უნიჭიერესი მარიამ დემურაშვილი, ის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე 50%-იანი გრანტით მოხვდა.

-ვინ არის მარიამ დემურაშვილი?

-უბრალო გოგონა, რომლის ოცნებაც იყო გამხდარიყო ექიმი. დაუღალავად შრომობდა, ჰქონია მომენტიც, რომ ხელი ჩაუქნევია თავის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ არ დანებებულა. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, უფრო ვიყავი ჩემს გადაწყვეტილებაში დარწმუნებული, მებრძოლა მიზნის მისაღწევად. ვშრომობდი, ვსწავლობდი, გართობაზეც არ ვამბობდი უარს, ბებია ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ასეთი ქცევებით არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ მე ეს შევძელი.

-მარიამ, მომიყევი სკოლის პერიოდზე, როგორი იყო ეს თორმეტი წელიწადი....

-ძალიან მალე ჩაიარა 12 წელმა, ამ დროის მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე, განვიცადე სიხარული, იმედგაცრუებაც, ბევრი სასიამოვნო მომენტი დამრჩა სამახსოვროდ, პედაგოგების საშუალებით პროექტებში ვიღებდი მონაწილეობას, რაც თავისთავად ძალიან დიდ მოტივაციას მაძლევდა, რომ მებრძოლა და მიზნისთვის მიმეღწია. პანდემიამ, რა თქმა უნდა, ძალიან შეგვიშალა თითოეულ ჩვენგანს ხელი, თითქმის ნახევარი წელიწადი ონლაინ რეჟიმში ვსწავლობდით, გამიცდა მეცადინეობებიც, მეშინოდა, რომ ეს ყველაფერი შედეგზე აისახებოდა. თუმცა, ჩვენმა დაუღალავმა შრომამ და დღედაღამ მეცადინეობამ, შედეგი გამოიღო.

-გაქვს გამორჩეული საგანი, რომელიც ძალიან გიყვარს, თუ ყველას ერთნაირი მონდომებით ამზადებდი?

-როდესაც მაღალ საფეხურზე გადავედი და დავიწყე თითოეული საგნის შესწავლა, ჯერ ქიმიამ დამაინტერესა, შემდგომ ბიოლოგიამ, ამ საგნების სიყვარულმა მომცა გამბედაობა და ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკში მონაწილეობა მივიღე 2-ჯერ და საკმაოდ წარმატებულად, ჩვენმა გუნდმა ვასახელეთ პირველი საჯარო სკოლა, ამ ყველაფრის საფუძველზე მივხვდი, რომ ეს ორი საგანი ჩემთვის განუყრელი იყო.

-გარდა სასკოლო პროგრამისა, არაერთ პროექტში იყავი ჩართული, მოგვიყევი

-ჩემი პირველი წარმატებული ნაბიჯები ეკუთვნის თინიკო ფრუიძეს, რადგან მისი შთაგონებით იყო ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი, სადაც ბავშვებთან ერთად უამრავი ცდა ჩავატარეთ, უამრავი მოწონება დავიმსახურეთ, ორივე ჯერზე ძალიან წარმატებულები ვიყავით, კიდევ იყო ერთი პროექტი, კავკასიის უნივერსიტეტს ჰქონდა

ღია კარის დღე, ერთი წლის მანძილზე ტარდებოდა შეხვედრები, გვავალებდნენ სხვადასხვა პროექტებს და ყველაფერი არაჩვეულებრივად მიდიოდა, ბევრი მოწონებაც დავიმსახურე და საბოლოოდ საუკეთესო ათეულში მოვხდი, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, დღემდე მაქვს რექტორთან კონტაქტი და ვაპირებთ, რომ კიდევ უამრავ პროექტში მივიღოთ მონაწილეობა.

-რატომ აირჩიე ეს პროფესია?

-მე-9-ე კლასში ვიყავი, როდესაც დავიწყე გრეის ანატომიის ყურება და პირველივე ჩვენებამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, საინტერესო იყო ჩემთვის თუ როგორ ატარებდნენ სხვადასხვა კვლევებს, როგორ თავდაუზოგავად მუშაობდნენ, ამის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ მეც ამ პროფესიას გავყოლოდი, საბოლოოდ, ერთმა ძალიან დიდმა ნაბიჯმა გადაწყვეტილება არ შემაცვლევინა, ეს იყო კავკასიის უნივერსიტეტში გამოცხადებული კონკურსი, სადაც საუკეთესო ათეულში მოვხვდი, ამის შემდეგ დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ როგორ თავდაუზოგავად უნდა მეშრომა, რომ ამ ყველაფრისთვის მიმეღწია. მქონია მომენტები, რომ დამღლელი რეჟიმის გამო, არ მიმეცადინია და მოტივაციაც დამიკარგავს, მაგრამ მახსენდებოდა ფილმის მომენტები და, ისევ ჩვეულ მდგომარეობას ვუბრუნდებოდი.

-მარიამ, აირჩიე მიმართულება?

-მიმართულება დასაწყისშივე გადაწყვეტილი მქონდა. კარდიოლოგობა მინდა, რადგან ეს პროფესია ძალიან მაინტერესებს.

-რა თქვა ოჯახმა, შენი გადაწყვეტილების შესახებ?

-ოჯახში ყველა ნორმალურად შეხვდა ჩემ გადაწყვეტილებას, თავიდან ბებია თავშეკავებისკენ მომიწოდებდა, მაგრამ პატივი სცა ჩემ გადაწყვეტილებას.

-მარიამ, სოციალურ ქსელში დედას სტატუსია, რომ ამაყობს შენით, ასევე შენი სკოლა, შენი ქიმიის პედაგოგი, რას ეტყოდი ამ ადამიანებს?

-ორი წელია, რაც დედა საზღვარგარეთაა წასული, რათა ჩემი მიზანი რეალობად ვაქციო, მხარს მიჭერს ყველანაირად. პირველ რიგში ძალიან დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს, დედას, რომელიც შრომობს ჩემი წარმატების მისაღწევად, მასწავლებლებს, რომ ამხელა შრომა ჩადეს ჩემ განვითარებაში, მადლობას ვუხდი, თითოეული წუთისთვის, წამისთვის, რომელიც მათთან ერთად გავატარე.

-მარიამ, გარდა სასკოლო ცხოვრებისა, ხელოვნებაშიც ხარ ჩართული, ხარ მოცეკვავე.

-ცეკვა დავიწყე 7 წლის ასაკიდან, 10 წელი დავდიოდი ანსამბლ „თამარიონში“, უამრავი ამხანაგი შევიძინე, ვისწავლე საზოგადოებასთან ურთიერთობა, სხვადასხვა სცენაზე გვქონდა გამოსვლები, ერთად ძალიან კარგ დროს ვატარებდით, ბოლო წელს კი, აბიტურიენტობის უამს მომიხდა ცეკვიდან გამოსვლა, მაგრამ ვფიქრობ, ისევ დავუბრუნდები, რადგან ძალიან მიყვარს და დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

-თავისუფალ დროს რისი კეთება გიყვარს?

-მეგობრებთან ერთად ყოფნა, ყოველთვის ვცდილობ, რომ მათთან ერთად გავატარო დრო, რადგან საუკეთესო მოგონებები დამრჩეს.

-მარი ოქროს მედალოსანი ხარ?

-სამწუხაროდ ვერცხლის, თითო ქულა დამაკლდა 2 საგანში და საბოლოოდ ვერცხლის მედალი მერგო.

-რომ არა პანდემია ...

-რომ არა პანდემია, ვფიქრობ, საინტერესოდ განვითარდებოდა მოვლენები. სწავლის პროცესი, გამოცდები, ზაფხული უფრო დასამახსოვრებელი იქნებოდა. საყვარელ ადამიანებთან ერთად დიდ დროს გავატარებდი, თავგადასავლებით სავსე ცხოვრება მექნებოდა, მაგრამ არაუშავს, ძალიან მალე ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებით.

-მარიამ, დღევანდელი რეალობა პირდაპირ კავშირშია შენს მომავალ პროფესიასთან, ჩვენი დროის გმირებმა (ექიმებმა) ბევრ რამეზე დაგვაფიქრეს, როგორი უნდა იყოს და როგორი არ უნდა იყოს ექიმი?

-ასე რომ ვთქვათ, ექიმი დონორია, ცოდნის, ენერგიის, გამოცდილების, სიყვარულის, სითბოს გამცემი. ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა რწმენაზე დაფუძნებული გარანტიაა. თუ ეს თვისებები არ გააჩნია ექიმს, როგორ გაუმკლავდება ყველა იმ პრობლემას, რომელიც მას წინ დახვდება.

-მარიამ, რას ეტყოდი მათ, ვინც ახლა გადის იმ გზას, რომელიც შენ გაიარე

-მაქსიმალურად იბრძოლონ, რომ სასურველ შედეგს მიაღწიონ, და ის ბედნიერება განიცადონ, რაც მე დღეს განვიცადე.

ნონა ხუზმიაშვილი

გრიპის სეზონი და მიმდინარეობა საქართველოში

გრიპი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადვილად გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს, იგი ცირკულირებს მთელს მსოფლიოში და იწვევს ეპიდემიებს. მას აქვს უნარი დააინფიციროს ადამიანები ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში. სეზონურ ეპიდემიებთან ერთად, გრიპის ახალი ქვეტიპის აღმოცენებისთანავე შესაძლებელია გრიპის პანდემიის დაწყება.

გრიპი ადვილად მოგზაურობს. ჩვეულებრივ, ჰაერის საშუალებით ვრცელდება დახველების ან დაცემინებისას, ასევე დაბინძურებული ხელებით. ადამიანებმა შესაძლებელია გაავრცელონ გრიპის ვირუსი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაიგებენ რომ ავად არიან, რომელიმე სიმპტომის გამოვლენამდე ერთი დღით ადრე და შემდგომი 5-7 დღის განმავლობაში.

როგორც წესი, გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე მთავრდება გამოჯანმრთელებით. თუმცა, გრიპი ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია გართულდეს, უფრო იშვიათად კი - გამოიწვიოს ლეტალობა..

გრიპი იწყება უეცრად, მაღალი ტემპერატურის ფონზე გამოხატული ინტოქსიკაციითა და ზემო სასუნთქი გზების დაზიანებით.

გრიპის ძირითადი სიმპტომებია:

- მაღალი ტემპერატურა (38^{0} C მეტი);
- თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილი;
- საერთო სისუსტე;
- ხველა;
- ყელის ტკივილი;
- შემცივნება;

იშვიათად დიარეა და პირღებინება.

გრიპის შემთხვევათა ძირითადი რაოდენობა სრულად გამოჯანმრთელდება ერთი კვირის თავზე. იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა გრიპი გართულდეს და კიდევ უფრო იშვიათად გამოიწვიოს ლეტალობა.

გრიპის ძირითად გართულებად ითვლება პნევმონია (ფილტვების ანთება), შედარებით იშვიათია შუა ყურის ანთებითა და თანმხლები ქრონიკული დაავადებების გამწვავებით გამოწვეული გართულებები.

გრიპის ვირუსის გართულების რისკ-ჯგუფში იმყოფებიან: გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემისა და სხვა ქრონიკული დაავადების მქონენი, ონკოლოგიური პაციენტები, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულნი, ბავშვები, ხანდაზმულები და ორსულები.

იმ შემთხვევაში, თუ გრიპის სიმპტომების ფონზე დაავადებულს აღენიშნება:

სუნთქვის გართულება, ქოშინი, ტკივილი გულმკერდის არეში, ცხვირ-ტუჩის მიდამოს გალურჯება, სისხლიანი ნახველი, მე-3 დღის შემდგომ ტემპერატურის მატების ტენდენცია - სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

ადამიანიდან ადამიანზე გრიპის ვირუსის გადაცემა დაავადებული ადამიანის ხველის ან ცემინების დროს ხდება (დაავადებული ადამიანის ხველისა და ცემინებისას გამოტყორცნილი წვეთებით ვირუსი ვრცელდება ჰაერში, რაც ჯანმრთელთა დაავადების მიზეზია); ადამიანი ასევე შეიძლება დაავადდეს გრიპის ვირუსით დაბინძურებულ ზედაპირებთან ხელით შეხების შემდეგ, რადგან, ზედაპირებზე მოხვედრილი გრიპის ვირუსი დაინფიცირების უნარს 2-8 საათის განმავლობაში ინარჩუნებს.

გართულებების განვითარების რისკ- ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი;
- დიაბეტით დაავადებულნი;
- მცირე და ხანდაზმული ასაკი;
- ორსულები

გრიპით გამოწვეული გართულებების თავიდანაცილების მიზნით, რეკომენდებულია: დაავადებულებმა დაიცვან წოლითი რეჟიმი და ისეთი სიმპტომების გამოჩენისას, როგორიცაა:

- სუნთქვის გაძნელება;
- ქოშინი;
- ციანოზი;
- ტკივილი გულმკერდის არეში;
- სისხლიანი ან მოვარდისფრო ნახველის გაჩენა;
- გახანგრძლივებული (3 დღეზე მეტი) მაღალი ცხელება (38 გრადუსზე მეტი);
- ბავშვებში - ღებინება ან ყლაპვის გაძნელება, კრუნჩხვები

სასწრაფოდ მიმართონ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

გრიპის გართულების თავიდან აცილების მიზნით, დაავადების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მიწოდება რეკომენდებულია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ:

- გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები;
- დიაბეტით არიან დაავადებულნი;
- არიან მცირე და ხანდაზმულ ასაკში;
- არიან ორსულად.

როგორ შევაჩეროთ გრიპის გავრცელება

გრიპის ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაცია.

გრიპის ფართო გავრცელებისას რეკომენდებულია არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენება, კერძოდ:

- უმჯობესია დაავადებული ადამიანები დარჩნენ სახლში: ამით დაიცავენ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას - დაავადების გავრცელებისგან;
- ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანონ ხელები საპნით და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა;
- რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი და ;
- გამოიყენეთ სველი წესით დალაგება;

თუ გაქვთ გრიპის სიმპტომები - დარჩით სახლში, ტემპერატურის დარეგულირებიდან შემდგომი 24 საათის განმავლობაში;

- იმ შემთხვევაში თუ დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და უჩვეულოდ ან დაავადებული მიეკუთვნება გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფს, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მისაღებად.

ნდობა ნდობის და სიყვარული სიყვარულის წილ - მაია მასწავლებლის ცხოვრებისეული კრედო

„მაია მოსეშვილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის, დაბა კაზრეთის პირველი საჯარო სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგია. იგი ენერგიული, საქმის ერთგული, და კომუნიკაბელური ადამიანია. ის ერთნაირად ლოიალურია, როგორც პედაგოგების, მოსწავლეების, ისე მათი მშობლების მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ მაია სკოლის დედა-ბოძია, ურომლისოდაც არანაირი აქტივობა არ იგეგმება. ის ჩემი და ჩემი მასწავლებლების საიმედო დასაყრდენია, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი“. ასე აფასებს სკოლის დირექტორი ნანა ოდიშელიძე ქალბატონ მაია მოსეშვილს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ამერიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა დაწყებით საფეხურზე „საუკეთესო მასწავლებლის აღიარების“ ჯილდო გადასცა.

მაია მოსეშვილი უკვე მრავალია წელია მომავალ თაობას ემსახურება და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში. იგი იმ პედაგოგების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც სკოლის სახელის ღირსეულ დამკვიდრებაში დიდი როლი შეაქვთ. სპეციალობით ფილოლოგი 1998 წლიდან დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლაში უწყვეტი რეჟიმით, სხვადასხვა პოზიციაზეა დაკავებული, ბოლო ათეული წელია დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია. ფორმალური განათლების გარდა, აღსაზრდელებს არაფორმალურ განათლებასაც აძლევს, უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, იყენებს ინოვატორულ მოდელებს. აძლევს ღრმა ცოდნას და უვითარებს დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევებს. პრინციპული, შრომისმოყვარე, მიზანდასახული და ნიჭიერი პედაგოგი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას და მოსწავლეებთან ურთიერთობის მისეული ფორმულა აქვს ჩამოყალიბებული. „ვიცი, რაც ყველაზე მეტად უყვართ: 1.აღიარება -ყველა ადამიანს მოსწონს და ამიტომ მე მათ ვაღიარებ. 2. ნდობა - ვავალებ საქმეს, ვედნობი და ამიტომაც მენდობიან. 3. ზომიერება ურთიერთობაში - მე არ მავიწყდება, რომ მასწავლებელი ვარ და არ ვივიწყებ, რომ ისინი მოსწავლეები არიან. 4. იუმორი - ზომიერი იუმორი ხსნის მათკენ მისასვლელ გზას, ამიტომაც არ სწყინთ ჩემი ნათქვამი სიმართლე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ყველა მოსწავლის სახელი და გვარი ვიცი, ვიცნობ მათ მშობლებს, ვიცი რა უყვართ, რისკენ აქვთ მიდრეკილება, იმასაც ვუქებ. ჩემი მკაცრი შეხედულების მიღმა, სიყვარულით სავსე გული ეგულებათ, ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგაც, ჩვენი ურთიერთობა გრძელდება. ახლა უკვე ჩემი მოსწავლეების შვილების მასწავლებელი ვარ და მათი თავი ნუ მომიშალოს ღმერთმა. ერთ რამედ ღირს, მათი ბაგეებიდან წარმოთქმული: ‘“მაია მას...“.

გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, მაია მოსეშვილი არის დირექტორის მოადგილე, მას სამაგალითო დამოკიდებულება აქვს პედაგოგებთან. მუდამ ცდილობს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს კოლეგებს, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მათ, პროფესიულ ზრდაში.

ნანა ოდიშელიძე, სკოლის დირექტორი:

- მაია იყო USAID-ის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო ჯგუფის ფასილიტატორი. აქტიურადაა ჩართული ახალი სკოლის მოდელის კომპლექსური დავალების შექმნა-განხორციელებაში, როგორც ტრენინგებზე, ასევე დამოუკიდებლად შექმნა და განახორციელა კომპლექსური დავალებები ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე.

მაია მოსეშვილი ყოველთვის გამოხატავს სიახლეების მიმართ ინტერესს, ესწრება ტრენინგებს, ორგანიზებას უწევს და მონაწილეობს კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში. მას ახასიათებს კოლეგების მიერ, თუ ტრენინგების დროს, გაზიარებული ინოვაციური იდეებისადმი პოზიტიური

დამოკიდებულება. შეუძლია მოსწავლეებისათვის, სწავლის პროცესში, ხელშემწყობი და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა.აღნიშნული გამოცდილება, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ მაია მოსეშვილს, ეხმარება საკლასო სივრცეშიც განსაზღვროს მოსწავლეთა საჭიროებები და მათზე მორგებული აქტივობები შესთავაზოს. გარდა ამისა, მას აქვს საკმარისი გამბედაობა, კლასში ახალი იდეების მოსასინჯად, არის შემოქმედებითი, გამჭრიახი, შეუძლია ისეთი აქტივობების შემუშავება, რომლებიც უბიძგებს მოსწავლეებს აღმოჩენებისკენ, კვლევისკენ, წაახალისებს და პატივს სცემს განსხვავებულ აზრს. ის არის „კარგი კრიტიკული მეგობარი “ და თვითონაც ღიაა რეკომენდაციების მისაღებად. ყოველი ახალი აქტივობის ან მეთოდის დანერგვის დროს, ისწრებს გაკვეთილზე კოლეგებს და შემდეგ ითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს.

ქალბატონმა მაიამ ასევე თავი გამოიჩინა და სწრაფად შეიმუშავა მეთოდი, დისტანციური სწავლების პერიოდში. მან მოსწავლეებისთვის ონლაინ გაკვეთილები სახალისო, საინტერესო და შემეცნებითი გახადა. რთულ პერიოდში, როდესაც სამყარო ამოუცნობ ვირუსთან ბრძოლაში იყო და მკაცრი რეგულაციების დაცვით ბავშვებს შინ უწევდათ ყოფნა, მაია მასწავლებელმა ერთი-ორად გაითავისა გლობალური პრობლემა და ცდილობდა აღსაზრდელებისთვის მოსაწყენი დისტანციური სწავლება მრავალფეროვანი გაეხადა.

„მას ასევე აქვს ვირტუალური ან დისტანციური სწავლების რეჟიმზე ადაპტირების უნარი, სწრაფად აუღო ალღო, აითვისა და დანერგა დისტანციური სწავლება გლობალური პანდემიის პერიოდში.

მაიას აქვს ლიდერი მასწავლებლისათვის დამახასიათებელი თვისებები. აქტიურად არის ჩართული სასკოლო თუ ონლაინ ქსელურ ჯგუფებში, მონაწილეობს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებში. ის მუდმივად ცდილობს მშობელთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მან მშობლებთან ერთად მოაწყო პოეზიის საღამო, მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, მაია უსმენს მათ, გეგმავს და ახორციელებს მათთვის საინტერსო შეხვედრებს.

წლებია მაია მასწავლებელია და მას არასოდეს მიუმართავს პედაგოგებისთვის უხეშად, პირიქით, შეუძლია ყოველგვარი პრობლემა უმტკივნეულოდ და მშვიდად მოაგვაროს, ეს თვისებები უწყობს მას ხელს იმაში, რომ სწორად და მიზანმიმართულად წარმართოს სკოლის ცხოვრება“. - აღნიშნა სკოლის დირექტორმა.

ქალბატონი მაია მიზანდასახული ადამიანია. მუდამ ძიებაშია. აანალიზებს ყოველ გადადგმულ ნაბიჯს, შინაგანი სიძლიერე და მოხერხებულობა აძლევს საშუალებას, იყოს კარგი დედა, მასწავლებელი, მეგობარი და კოლეგა.

მაია მოსეშვილი, პედაგოგი:

-ბუნებით ცნობისმოყვარე ადამიანი ვარ. მაინტერსებს რა ხდება განათლების სისტემაში, ქვეყანაში, ქვეყნის ფარგლებს გარეთ.ზოგჯერ მინდა, რომ ხასიათის ეს თვისება გამოვასწორო, მაგრამ არ გამომდის. ყველაფერი რომ მოვასწრო, დროს სწორად ვანაწილებ: დილით ადრე სკოლაში წასვლამდე ,,დედობას" ვასწრებ, მერე სკოლაა, სადაც ზუსტად მაქვს დაგეგმილი, რაც უნდა გავაკეთო. სამსახურის დასრულების შემდეგ, ვაანალიზებ რა გავაკეთე, შემდეგ სახლი და ისევ მზადება მეორე დღისთვის. ჩემი საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტებია-რომელი საქმეც მოითხოვს მეტ ყურადღებას , დროს მას დავუთმობ. ვახერხებ ,,ლავირებას". წარმატებული რამდენად ვარ, ამას ცხოვრება გამოცდის. სიყვარულს კი ნამდვილად ვგრძნობ. როგორც დედა, ჩემი შვილებით ბედნიერი ვარ. მინდოდა, რომ გამორჩეულები ყოფილიყვნენ ზრდილობით, ადამიანობით, მათ ქულებს მნიშვნელობა არ ჰქონდა. სამაგიეროდ, მუდმივად ვცდილობდი განათლება არ მომეკლო. ვცდილობ ჩემი შვილების ინტერესებს ვითვალისწინებდე და ამიტომაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ვაკვირდები როგორი ფილმები მოსწონთ, როგორი ჟანრის მუსიკას უსმენენ, ჩაცმითაც იმ სტილს ვუწონებ, რაც მათ მოსწონთ. ჩემთვის მთავარია, რომ ისინი შინაგანად თავისუფალი, კეთილი, ბედნიერი და ჯანმრთელი ადამიანები იყვნენ.

კითხვაზე, თავიდან რომ დაიწყოს ისევ ამ პროფესიას აირჩევდით? მან დაუფიქრებლად მიპასუხა - „რა თქმა უნდა! ამაზე ლამაზი პროფესია არ მეგულება-უყურებ პატარას, ხშირად ტირილით, შიშით რომ გიყურებს, დაფას რომ ვერ სწვდება და ფეხის წვერებზე იწევა, წლების მერე უყურებ უკვე გაზრდილს. მის გამოქანდაკებაში შენც მიგიძღვის წვლილი და სიხარული გიპყრობს. რა ვუყოთ, თუ ბევრი დრო დაიხარჯა - ხან წაბორძიკებულს დაეხმარე, ხან სიტყვა შეუსწორე, ხან საქციელი დაუწუნე ან მოუწონე-ადამიანი ხომ ჩამოყალიბდა! ამაზე ძვირფასი ,,განძი, ლარი და საუნჯე" არაფერია!

ქალბატონ მაიას ახარებს ბედნიერი ადამიანების დანახვა, ახალგაზრდების წინსვლა ქვეყნის კეთილდღეობისთვის, გული სწყდება, როცა უყურებს თვალებში სევდაჩამდგარ მოსწავლეებს, რომელთა მშობლებიც საზღვარგარეთ, ოჯახის გადასარჩენად არიან წასულნი. ედარდება შშმ პირები, მოხუცები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები.

ყველაზე დიდი ჯილდო კი მისთვის მოსწავლეების სიყვარულით სავსე წერილები, მათი შეფასებები და გაცისკროვნებული თვალებია!

მარინა გავაშელი

ქალაქ ბოლნისის დასავლეთ ნაწილში, მდინარე მაშავერაზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს

მოსახლეობის მოთხოვნით, ქალაქ ბოლნისის დასავლეთ ნაწილში, მდინარე მაშავერაზე ხიდის მშენებლობის სამუშაოები ხორციელდება.

ობიექტზე ბეტონის ბურჯები უკვე ჩასხმულია, ამ ეტაპზე კი რიგელების მოწყობა მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობის პროცესს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები ადგილზე გაეცნენ.

პროექტის ღირებულება 900 000 ლარამდეა და სრულად ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

Bolnisi munisipaliteti 2021-2022-ci tədris ilində də tələbələri maliyyələşdirəcək

Bolnisi munisipaliteti, bakalavr və magistr tələbələrini maliyyələşdirmək üçün sənədləri qəbul etməyə başlayır.

Xahiş edrik, sənədləri Bolnisi Bələdiyyəsinin Vətəndaşlara Xidmət Şöbəsinə təqdim edin. Maddi yardım proqramında, kateqoriyalara görə, tələbə tam sənədləri təqdim etdikdən sonra cəlb olunacaq.

Munisipalitet aşağıdakı kateqoriyalar üzrə tələbələrə təqaüdləri verir:

1) Valideynləri olmayan tələbələr və dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan himayədar ailələrdən olan tələbələr.

1.Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2.Məktəbdən arayış;

3.Ölüm haqqında şəhadətnamə;

4.Şəxsi bank hesabı;

5.Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

6.Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

2) Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan məcburi köçkün ailələrindən olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Məcburi köçkünlük şəhadətnaməsi;;

3. Məktəbdən arayış;

4. Bankdan şəxsi hesabı;

5. Doğum şəhadətnaməsinin surəti.

3) Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan sosial cəhətdən həssas (0-dan 100 000-dək) ailələrdən olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Sosial cəhətdən həssas olanlar haqqında arayış (0 -dan 100 000 bala qədər);

3. Məktəbdən arayış;

4. Şəxsi bank hesabı;

5. Doğum şəhadətnaməsinin surəti.

6. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

4) Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan çoxuşaqlı ailələrdən olan tələbələr (üç və ya daha çox uşaq);

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum şəhadətnaməsinin surətləri (bütün əmiuşaqların);

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

5) Dövlət akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan iki və ya daha çox tələbəsi olan ailələrdən olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

6) Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan aspirantlar;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surəti (Forma 1);

6. Qiymət kağızı (81 -dən 91-də daxili 50 lari);

7) Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan əla tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surəti (Forma 1);

6. Xallar haqqında çıxarış (91 -dən 100-də daxili 50 lari);

7.Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan əlil tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surəti (Forma 1);

6. Əlilllik statusu.

Nəzərə alın ki, təhsil müəssisəsinin sertifikatı tahsıı başladıqdan sonra verilməlidir. Əks təqdirdə təqdim olunan sənədlərə baxılmayacaq.

Bolnisi Bələdiyyəsində infrastruktur layihələri davam edir

Şəhərin qərb hissəsində, Maşavera çayında, müasir standartlara uyğun körpünün tikintisi aktiv mərhələdədir. Uzun illərdir ki, ərazidəki kənd təsərrüfatı torpaqlarına gedişi əhalinin əsas problemi olub və onların istəyi ilə şəhərə noyabr ayının sonunda yeni infrastruktur obyekti əlavə ediləcək. Layihə yerli büdcədən maliyyələşdirilir və təxminən dəyəri 900.000 lari təşkil edəcək.

Bolnisi Bələdiyyəsinin Məkan Planlaşdırma və İnfrastruktur Xidmətinin rəisi Konstantine Kordzadze körpünün tikinti prosesi ilə yerində tanış oldu.

Məktəblərdə maskadan istifadə bütün şagirdlər üçün məcburidir

Çxenkelinin sözlərinə görə, oktyabrın 4 -dən etibarən məktəbdə maskadan istifadə bütün şagirdlər üçün məcburi olacaq.

Bu barədə o, bu gün Koordinasiya Şurasından sonra keçirilən brifinqdə bildirib.

“yeni xəbər odur ki, məktəblərdə bütün şagirdlərin maska taxması məcburi olacaq. Orada sağlam bir mühit var və belə də qalsın. Yuxarı sinif şagirdləri üçün məcburi idi, indi bütün şagirdlərdən, müəllimlərdən və rəhbərlikdən (məktəb nümayəndələrindən) məktəb mühitində uşaqlarımızın sağlam bir mühitdə təhsil almalarını təmin etmələrini tələb edirik “,- Mixeil Çxenkeli deyib.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში, დასკვნითი სამუშაოების შესასრულებლად გერმანელი ექსპერტები ეწვივნენ

არემჯიში გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში, დასკვნითი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც გერმანული კომპანია Cerafiltec-ის (სერაფილტეკი) ინჟინრები ახორციელებენ.

პროექტის დასკვნითი ეტაპი უცხოელი სპეციალისტების მიერ, თანამედროვე წყლის ქიმიური გამწმენდი ნაგებობების მონტაჟს და მათ ექსპლუატაციაში გაშვებას ითვალისწინებს. ქიმიური გამწმენდი ნაგებობის ამუშავების შედეგად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხდება საწარმოო წყლების სრული გაწმენდა და მათი შემდგომი ჩაშვება მდ.კაზრეთულასა და მდ. მაშავერაში, რაც სრულად გამორიცხავს მდინარეების დაბინძურებას.

უახლოეს მომავალში წყალდაცვითი ღონისძიებების ფარგლებში მსგავსი ტიპის ქიმიური გამწმენდი ნაგებობა დამონტაჟდება №4 ფუჭი ქანების სანაყაროს ძირში, რაც უზრუნველყოფს მდ. ფოლადაურის დაცვას.

წყალდაცვითი ღონისძიებების დასკვნითი ეტაპის დასრულებით (რაც გულისხმობს ზემოთ მოყვანილი წყლის გამწმენდი ნაგებობების ესპლუატაციაში გაშვებას) შესრულებული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 – 2018 წლებში გაცემული მიწერილობის ყველა პირობა.

არემჯიმ ამ დროისთვის გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში, 98 შემარბილებელი ღონისძიება განახორციელა, რომელთა უმეტესი ნაწილი წყლის, ჰაერის და ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. გარემოსდაცვითი პროგრამის შესრულებაზე განხორციელებულმა ინვესტიციამ 30 000 000 ლარი შეადგინა.

200 წლის შემდეგ, არემჯის მხარდაჭერით, ბოლნისში გერმანული ღვინო დაიწურა

ბოლნისელი მეღვინეების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, არემჯიმ ევროპული ჯიშის ყურძენი შეიძინა და ბოლნისელ მეღვინეთა გაერთიანება "ღვინო ბოლნისის" წევრ მეღვინეებს გადასცა.

მომავალ წელს, არემჯის ქართულ-გერმანულ სახლში მისულ სტუმრებს, ბოლნისელი მეღვინეები საკუთარ ქართულ, ქვევრში დაყენებულ ღვინოებთან ერთად, გერმანულ და ქართულ-გერმანული ღვინითაც გაუმასპინძლდებიან.

„ძალიან საინტერესო აღმოჩნდა გაერთიანება „ღვინო ბოლნისისა" და არემჯის თანამშრომლობა. ორი კვირის წინ დავიწყეთ ჯიღაურას სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან, ევროპული ყურძნის ჯიშების ბოლნისში ჩამოტანა. 55 ჯიშის ყურძენი 16 მარანში გადანაწილდა, სადაც მოხდება ევროპული ტექნოლოგიით ღვინის დაყენება. მოხდა ქართული და გერმანული ჯიშების შერწყმა და მარნებში სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. ბოლნისელი ენთუზიასტი მეღვინეები ამ ექსპერიმენტში ჩაერთნენ და დარწმუნებული ვარ ძალიან საინტერესო გამოგვივა. ღვინის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ გასინჯონ ქართული ღვინო გერმანული აქცენტით." – განაცხადა მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისის" დირექტორმა გურამ ავქოფაშილმა.

ჯემალ ხუციშვილი

კომპანია არემჯის საბურღი დაზგის ოპერატორი

ჯემალ ხუციშვილი, 44 წელია კომპანია არემჯიში სამთოელის პოზიციაზე მუშაობს. 44 წლის მანძილზე მან არაერთი საინტერესო მიმართულებით იმუშავა, ძირითადად ბურღვითი სამუშაოების განხრით. 1993 წლიდან ბურღვა-აფეთქების უბანზე, საბურღი დაზგის ოპერატორია და დღემდე ერთგულად ემსახურება სამთოელის საქმეს.

,,მუშაობა 1977 წელს დავიწყე, ამ წლების მანძილზე შევიძინე უამრავი მეგობარი, რომელთან ერთადაც მუშაობა საინტერესოა. კონკრეტულად ვემსახურები ბურღვით სამუშაოებს, ვბურღავთ ქებს, სადაც შემდეგ მიმდინარეობს აფეთქებითი სამუშაოები. ყველა დრო თავისებურად გამორჩეულია. მაშინდელი გამამდიდრებელი კომბინატი, რომელსაც დღეს სპილენძის გამამდიდრებელი ფაბრიკა ჰქვია, არ იყო ასეთი დიდი და ტექნოლოგიურად გამართული. ბოლო რამდენიმე წელია მოხდა საწარმოს გადაიარაღება და განახლება, სადაც მუშაობა უფრო და უფრო საინტერესოა. კომპანიის ახალგაზრდა ხელმძღვანელობა, წარმატებით უძღვება ამ საპასუხისმგებლო საქმეს, რაც შედეგად კომპანიის წინსვლაზე დადებითად აისახება. ''

არემჯიში დასაქმებული 3000-ზე მეტი თანამშრომლიდან, ამ დროისთვის ვაქცინირებულია 82%, აქედან, ორჯერადად აცრილია კომპანიაში დასაქმებულთა 60%.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.